საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 11.07.2007, მუხ. 244) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხა, ამ ნივთიერებების ბრუნვასთან და მათდამი მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

13 აპრილი 2016 წ.

N4961-IIს